საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11712/01
11/11/2021

11712-01-2-202111111616

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძეს
მის: ქ. ქუთაისი, ნ ბარათაშვილის ქ. N26
ელ. ფოსტა: Kuxianidze87@mail.ru

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ბატონო თეიმურაზ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი N15477 განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში, პოლიეთილენის ნარჩენების გადამუშავების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

როგორც წარმოდგენილი განცხადების მიხედვით დგინდება, პოლიეთილენის ნარჩენების გადამუშავების საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს ნარჩენების წინასწარ დამუშავებას (პოლიეთილენის ნარჩენის მექანიკრი დაქუცმაცება).

გაცნობებთ რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის, პირველი ნაწილის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ექვემდებარება აღნიშნული კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ასევე, II დანართით გათვალისწინებული საქმიანობა, რომელიც სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის, მე-10 პუნქტის, 10.3 ქვეპუნქტის თანახმად, სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა.

გამომდინარე იქიდან, რომ თქვენ მიერ პოლიეთილენის ნარჩენების გადამუშავების საწარმოში დაგეგმილია არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება (პოლიეთილენის ნარჩენის მექანიკური დაქუცმაცება), აღნიშნული საქმიანობა არ საჭიროებს სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას.

დამატებით გაცნობებთ, რომ თუ დაგეგმილი საქმიანობა არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას, სავალდებულოა საქართველოში მოქმედი

გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა.

ამასთან გაცნობებთ, რომ ნარჩენების წინასწარი დამუშავება „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 26-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენს რეგისტრაციას დაქვემდებარებულ საქმიანობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესებულმა პირმა, საქმიანობის განაცხადი უნდა წარადგინოს ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge). ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის წესი და პირობები განისაზღვრება „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N144 დადგენილებით.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე